№ 7

ოთხშაბათი, 11 იანვარი 1895

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877--1895

# ივერია

№ 7

ოთხშაბათი, 11 იანვარი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.



თავადნი **ალექსანდრე, ლევან და სტანისლავ** მიხეილის ძენი ციციშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა საყვარლისა მამისა მათისა, **მიხეილ დავითის ძის ციციშვილისას**, და სთხოვენ მობრძანდნენ სოფელ ზემო-ხვედურეთს 15 ამა იანვარს დღითი კვირას მიცვალებულის დასაფლავების დასასწრებლად. (2—655—1)

**ძმანი ნიკოლოზ, ზაქარია, ქრისტეფორე, კონსტანტინე და გიორგი იოსების ძენი მამაცაშვილები** დებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 12 იანვარს, დილის 10 საათზედ კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის დედისა მათისა დ. ს. სოვეტ. მეუღლის **ნინო კონსტანტინეს ასულის მამაცაშვილისა**. (2—652—1)

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირიმანოვისა

**გამოფენა**

ჩვენის დროისათვის ორის უდიდესის საკვირველებისა

1) **ქონდრის კაცები**

უველაზედ უპატარესნი ცოლ-ქმარნი დედამიწის ზურგზედ

**მარკიზ მოლგე**, შობიდგან 38 წლისა, სიმაღლით 28 დიუიმი, სიმძიმით $9\frac{1}{2}$ კილ.

**მარკიზა ლუიზა**, შობიდგან 28 წლისა, სიმაღლით 29 დიუიმი, სიმძიმით $10\frac{1}{2}$ კილ.

2) ცოცხალნი ბუნებრივად შეხორცებულნი ინდოეთელნი



ტყუპნი-დანი

**რადიკა და დოოდიკა**

ჩვენის დროისათვის ყველაზედ უდიდესი საკვირველება ბუნებისა



გამოფენა დაიწყება კვირას, 1 იანვრიდგან და ღია იქნება ყოველ დღე, დილის 11 საათიდგან საღამოს 10 საათამდის.

ადგილების ფასი: სკამები 40 კაპ., ფეხზედ დგომით 20 კაპ. ყმაწვილები 10 წლისაზედ ნაკლებნი და ჯარის-კაცნი იხდიან მხოლოდ ნახევარ ფასს. (20—6.—6)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 11 იანვარს, 1895 წ.
„ქართული წარმოდგენების მმართველი ამხანაგობის“ დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
ქ-ნ მ. საფაროვისა და ბ. ავალიშვილის მონაწილეობით
ბენეფისი
ვ. ს. ალექსეევ-მესხიევისა
პირველად ახალი პიესა

I

**ვისი ბრალია?**

დრამა 3 მოქმედ. გერმანულიდგან.
ვ. აბაშიძის მონაწილეობით

II

რომ იცოდეს ჩემი გულის დარდები

კომედია 2 მოქმედ. მ. საფაროვისა

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, გამყრელიძისა, ტარიელოვისა და სხვ. ბ-ნნი მესხიევი, აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, გუნია და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

კოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „მუშამი და ნებიერი“, დრამა 4 მოქმ. და „რევიზორი“, კომედ. გოგოლისა.

რეჟისორი ალ. მესხიშვილი — ადმინისტრატორი ვალ. გუნია.


## ახალი ამბავი

—

*** დღეს, 11 იანვარს, ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის“ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება არტისტის რეჟისორის ბ. ვლად. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით და იმისსავე საბენეფისოდ პირველად ახალი პიესა: «ვისი ბრალია», დრამა 3 მოქმ. გერმანულიდგან, და „რომ იცოდეს ჩემი გულის დარდები“, კომ. 2 მოქმ. მ. საფაროვისა.

*** ოთხშაბათს, 11 იანვარს, ტფილისის სამუსიკო კრუჟოკში მისტერ გოვარდი აჩვენებს საზოგადოებას განკარგებულს ფონოგრაფს ედისონისას. ფონოგრაფი დადგმული იქნება სტოლზედ და დარბაზში მყოფი საზოგადოება კონცერტსავით მოისმენს სხვა-და სხვა პიესას სრულიად გარკვევით და მკაფიოდ. ფონოგრაფი გაიმეორებს სხვათა შორის ვაგნერის „ლოენგრინს“, სამხედრო მუსიკის ხოროს მიერ აღსრულებულს „ღამეს გრენადაში“, კვარტეტს, სხვა-და სხვა შესანიშნავ მგალობელთა სიმღერას და აგრეთვე „მარსელიეზას“.

სხვათა შორის დამსწრე საზოგადოებასაც შეეძლება იქავე ჩასძახოს, ანუ ჩაჰმღეროს რამე ფონოგრაფს, რომელიც მაშინვე განიმეორებს სიტყვასიტყვით იმავე ხმასა და კილოზედ.

*** 8 იანვარს, ნავთლუღში ერთი შესაზარი ამბავი მოხდა. სიყვარულის შურით გატაცებულმა ტფილისის მცხოვრებელმა მეაგურე არტემ ქერმიზოვმა (35 წლისაა) დანით დაჰკლა თავისი ცოლი. ქერმიზოვმა პოლიციაში აღიარა, რომ დილით ჩემი ცოლის მშობლებთან წავედითო. იქიდგან რომ დავბრუნდით, გზაზედ დარიგება დავუწყე გარყვნილობისთვის თავი დაენებებინა და ზნეობრივად მეცხოვრაო. ამასთანავე ვეხვეწებოდი, უზნეობისათვის თავი დაენებებინა. მაგრამ იმან მიპასუხა, რომ მე ჩემს ქცევას თავს ვერ დავანებებ, ამ დღეებში ჩემს საყვარელთან გადასვლასაც-კი ვაპირებო. მე იგი ძალიან მიყვარდა და სხვა გზა რომ აღარ მქონდა, წამოვაქციე და დანით დავკალიო. დამნაშავე შეიპყრეს.

*** ს. ჩხარი: მთელმა კრებამ ყმაწვილ კაცებისამ, რომელთაც გა... ბის სურვილი აქვთ, დაიქირავეს ქართულის გალობის მცოდნე პეტრე კიკნაძე და ამ რიგად ქართული გალობა შეისწავლეს. ს. ფარცხნაშიდაც სხვაგანაც ამ ჟამად მშვენივრად ჰგალობენ ქართულს საეკკლესიო საგალობლებს, რაც ხალხს მეტად სასიამოვნოდ რჩება. კარგი იქნებოდა, სხვა სოფლებსაც მიექციათ ყურადღება და ამ მაგალითისათვის მიებაძნათ, რადგანაც ხალხი უფრო დიდის სიამოვნებით ისმენს წირვა-ლოცვას, როდესაც ეკკლესიაში გალობა არის და ზნეობრივი გავლენაც დიდი აქვს კარგს გალობას.

*** ქ. ბათუმი: ჩვენის საბჭოს დასები იქამდის დანაწილდნენ, რომ უთავობის კრიზისი, ვგონებთ, უფრო დიდხანს გასტანს. ამ გვარად ახალი ხმოსნები თვისის მოქმედების პირველსავე ხანებში უნდა ელოდნენ მცხოვრებთა შორის რწმენის დაკარგვას. ამ გაჭირვებისაგან განთავისუფლების უკეთეს საშუალებად ჩვენ ის მიგვაჩნია, რომ თვით-მმართველობის მომავალ მოქმედებისათვის ეხლავე იყოს პროგრამები შედგენილი. როდესაც ქალაქის ყოველგვარი საჭიროება წინადვე ექმნებათ გათვალისწინებული ხმოსნებს, შესაფერის კანდიდატის ამორჩევა ერთი-ორად ადვილი იქმნება. („ნოვ. ობოზ.“)

*** ალუშტა. 9 იანვარს, დილის 10 სათზედ, მე 379 ვერსზე აბას-ალი-ოღლმა მძიმედ დასჭრა ხანჯლით მეისრე გაშან-მამედ-ალი-ოღლი 30 წლისა. დაჭრილის მორჩენა ძნელად საფიქრებელია, რადგანაც ცხრა

## ფელეტონი

—

**ნასწავლია!?**

მოთხრობა

(მასწავლებელთა ცხოვრებიდგან)

შემდეგი *)

III

კვირა დღე იყო. თბილს დღეს მთელი ქალაქი გარედ გამოეწვია და უქმეს-კი რაღაც განცხრომა ფუფუნებაში გაეხვია. ყველ ს სახე ულიმოდა, სადღესასწაულო ელფერი დასდებოდა. მორთულ-მოკაზმულები ქუჩებზედ დასეირნობდნენ. აქა-იქ ხალხი ჯგუფ ჯგუფად შეგროვილიყო და ერთმანერთს ემასლაათებოდა. ამ ჯგუფში ქალაქის ნასწავლები „ინტელიგენციაც“ ერია. ესენიც რაღაცას ლაპარაკობდნენ და ხითხითებდნენ. ყველას ეტყობოდა, რომ მოცლილი იყო, თითოეულს მათგანს დროებით მაინც დაევიწყნა თავისი ჭირ-ვარამი.

აგერ წირვის ზარიც დარეკეს და ამ ხმას ბანი მოსცა ქალაქის მიდამომ. ყველა შეინძრა თავისის ადგილიდგან. ზოგმა ქუდი მოიხადა, პირჯვარი გადაიწერა და უფრო გაფაციცებით დაუწყო თვალიერება გამვლელ-გამომვლელთ. ზარებს კვლავ რეკდნენ, კვლავ მლოცველთ ეკკლესიისკენ იწვევდნენ. მალე ქალაქის უმთავრესი ქუჩა ხალხით გაივსო. ყველაზედ ბევრი ქალები მოსჩანდა. მორთულ-მოკაზმულები, უმარილით დათხუპნილ-დალესილები წყვილ-წყვილად მოსეირნობდნენ ქუჩაზედ. მათ უკან მოსდევდნენ დედა-დიდედები კრიალოსნით ხელში (თუ ხნიერი იყო) ან არა-და ქალებზედ ნაკლებ არც ისინი იწმაწნ-იგრიხებოდნენ. ყველა ესენი საყდარში მიეშურებოდნენ ღვთის სადიდებლად. მაგრამ სახეზედ-კი სასოება არავის ეტყობოდა. რაღასაც ჩურჩულობდნენ, ჭორიკანობდნენ. უცნაური სანახავი იყო ეს ხალხი. რაღაც ძველებური, ჩვენებური ელფერი დასცემდა ამ ბრბოს. რაღაც მშობლიური, პატრიარქული სული ტრიალებდა მათ შორის, მაგრამ ამავე დროს, შიგ ჭრელად, რაღაც არაჩვეულებრივი, ნაძალადევი, ნახევრად განათებული და ნახევრად დაბნელებული ნიავი დაჰფარფატებდა მშობლიურს ქალაქს, რაღაცა სიყალბე შეჰპაროდა. ეტყობოდა, რომ ხალხი აჭრელებულა.

—

სასწავლებლის ეკკლესია მალე ხალხით გაიჭედა. ისეთი ვიწროობა იყო, რომ ნემსის კურწი არ ჩავარდებოდა. რაც ქალაქში მლოცველები იყვნენ ყველას აქ მოეყარა თავი. მგალობლების გუნდი დინჯად, წყნარად, მაგრამ მომეტებულის ნაწილისათვის გაუგებრად გალობდა.

სახლი ღვთისა ყველგან ერთია. მორწმუნე კაცის გული ყველგან ერთ გვარად აღიარებს ცოდვებს უხილავის წინაშე, წრფელი, უმანკო გული ყველგან შეიმუსრება სინანულით და თვალნი ყველგან ამოანთხევენ გულის ნადუღს, მაგრამ ამ ეკკლესიას განსაკუთრებული (რასაკვირველია, გარეგნობით) მიმზიდველი ძალა ჰქონდა. ყველა ფაქიზად და ღვთის სადიდებლად იყო მოწყობილი. ნამეტნავად „მოწაფეების დისციპლინა“ იზიდავდა ყველას ყურადღებას. „დისციპლინას“, სასწავლებლის უფროსი მოსწავლეების მწკრივად დალაგება-დაწყობას ეძახდა. ამ დღესაც, როგორც კვლავ, მოწაფეები რიგ-რიგად ჩამოწკრივებულიყვნენ. შიგა და შიგ უფროსი მოსწავლენი ჩაეყენებინათ, რომ შეგირდებმა არ იცელქონო. ზედამხედველს და მის თანაშემწეს-კი უფრო თვალსაჩენო ალაგი დაეჭირათ. ისე იდგნენ, რომ ხალხსაც კარგად ხედავდნენ და მოსწავლეებსაც ქორივით ალმაცერად დასცქეროდნენ. ეკკლესიაში ღვთის თვალი ტრიალებდა. სახრძნობელი სანახავი იყო ეს ათასი თვალი და ყური კანკელისაკენ მიმართული. ეკკლესია ღაღადებდა დიდებასა ღვთისასა, და ღვთის მლოცველები სასოებით იწერდნენ პირჯვარს. გეკონებოდათ ქვეყნად სასოება გამეფებულაო, მაგრამ ერთიით გარეგანი იყო ეს სასოება. მთელი მოწაფეობა რაღაც ნაძალადევს მდგომარეობაში იყო ჩაყენებული. ზედამხედველ-თანაშემწენი გაფაციცებით ადევნებდნენ თალ-ყურს და თუ ვისმეს უსასოდ მდგარს შენიშავდნენ, მაშინვე უბიდგან რაღაც წიგნს ამოაცოცებდნენ ხოლმე... და იმის დანახვა და მოწაფის დაჰკვიანება ერთი იყო. ალბად დიდი ძალა უნდა ჰქონოდა ამ წიგნაკს, რადგანც შეგირდები მის დანახვაზედ პირჯვრის წერას მოუხშირებდნენ ხოლმე და თუმცა ბევრს ამთქნარებდნენ, მაგრამ მაინც გაშეშებულნი, დალურსულებივით იდგნენ, ძ ეს ისე ახარებდა ზედამხედველს, რომ ბედნიერად-კი არა უუბედნიერესად სთვლიდა თავს, ისე იყო გარეგნობით გატაცებული, რომ ვერც-კი ამჩნევდა ხველა მთქნარება-ცხვირის ცემინებას, რაიცა რასაკვირველია, შედეგია მოწყენილობისა, უაზრობისა და გაფანტულობისა. ისიც კარგი იქმნებოდა რომ ჩვენს ზედამხედველს ჩაეხედნა თითოეულის გულში, მაგრამ ან-კი რად უნდა. კანონს ხომ ასრულებს და სინიდისი წმინდა აქვს.

ყველას ყურები დაეცქვიტა და მო-

*) იხ. «ივერია», № 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე ჭრილობა აქვს. დამნაშავე შეიპყრეს. ეს ამბავი იმიტომ მოხდა თურმე, რომ დამნაშავეს ეჭვი აეღო, გაშან-მამედ-ალი-ოღლი ჩემს ცოლს ეარშიყებაო.

*** როგორც შევიტყეთ, „ტფილისის ფურცლის“ თანამშრომელს ბ-ნ არბენინს, რუსულ ენაზედ საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველდღიური გაზეთის გამოცემის ნებართვა აუღიაო. რადგანაც ბ. არბენინი ბათუმში აპირებს ამ გაზეთის გამოცემას, ამიტომ, როგორც გვითხრეს, ამ გაზეთს, სახელად ეწოდება „Черноморскій Край“

## ნაწყვეტი

მოძღვარო, რისთვის დაჰხსენ
შენს ღვთიურს დარიგებასა,
რად მიეც თავი მსოფლიო
განცხრომასა და შვებასა?..
აღახვენ გვალად ბაგენი,
მოვეღით შენგან მცნებასა,
გვასწავლე რა არს კეთილი,
რომ არ ჩავცვივდეთ ვნებასა!..

დ. ნინოწმინდელი

## კორესპონდენცია

ქვემ. ქიზიყი. წარსული წლის დამლევს სიღნაღის მაზრის პირველ საბლაღოჩინოს დეკანოზმა მ. სვიმონ ბენაშვილმა ბლაღოჩინობას თავი დაანება მოხუცების გამო და მისი თანამდებობა მისცეს ზემო-მაჩხანის მღვდელს კირილე ღვთისავრიშვილს, რომელმაც 1888 წ. დაამთავრა სემინარიის კურსი სტუდენტის ხარისხით. ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების წინადადებით იგი გადაყვანილ იქმნა მღვდლად მანავიდგან საინგილოში, სადაც დიდი სიყვარული დაიმსახურა მრევლში თავისის კეთილ-ზნეობიანის ყოფა-ქცევითა და მჭევრ-მეტყველურის ქადაგებით. ასეთივე პატივისცემა დაიმსახურა ხალიხსა ქვემო-ქიზიყის ჭირსა და ლხინში მ. ღვთისავარიშვილმა ერთის წლის განმავლობაში, რაც იგი საინგილოდგან ზემო-მაჩხაანში იქნა გადმოყვანილი თავისის თხოვნით.

ახალმა ბლაღოჩინმა თავისს საბლაღოჩინოს ყველა მღვდლებს სთხოვა მამა-შვილურად: კვირა-უქმე დღეს მრევლს უქადაგეთო, კეთილ მზრუნველი მნათეები იყოლიეთო და ბევრი სხვა სასარგებლო წეს-წყობილებანი შემოაღებინა, მაგალითად: აქამდის ზოგიერთი მღვდლები ბლაღოჩინის უუწყებოდ ყიდულობდნენ საწყობიდამ წმინდა სანთელს, რაც საეჭვო იყო კონტროლისათვის, და ეხლა-კი მ. ღვთისავრიშვილმა ეს საქმეც გააუმჯობესა. ხსვათა შორის ბლაღოჩინი იმასაც სცდილობს თავისს კრებულთათვის სასულიერო წიგნთ-საცავი დააარსოს და მღვდელ-დიაკვანთა პურის მაღაზია დააფუძნოს თავისს საბლაღოჩინოში საერთო თანხის შესადგენად. გულითა და სულით ვისურვებთ, რომ ბლაღოჩინისათვის მხარი მიეცეს ქვემო-ქიზიყის სამღვდელოებას და ყველა მისი საკეთილო განზრახვა კეთილად დაგვირგვინებულიყოს მრავალთა საბედნიეროდ.

ვისურვებთ აგრეთვე ხსენებულ სამღვდელოებას აღესრულებინოს თავისს ბლაღოჩინის მამა-შვილური თხოვნა და ექადაგოს ბეჩავ-მდაბიო ხალხისათვის კვირა-უქმე და საუფლო დღეს. თუ რა შეუძლიან გონივრულ-ცოცხალ ქადაგებას, ცხადზედ უცხადესად დაგვიმტკიცა იესო ქრისტეს მოძღვრებამ, რომელმაც მთელი ცოდვილი ქვეყანა მოარჯულა ღმერთსა. ზოგიერთ მღვდელს ჩინებულად შეუძლიან იქადაგოს თავისს მრევლში ქრისტეს მოციქულივით, მაგრამ ენერგია გაბედულობისა აკლია და არაწმინდა კათაკმევლეთა დაცინვისა ეშინიან. მე მოგახსენებთ იმ უნიჭო განუვითარებელ ნაცარქექიებზედ, რომელთაც მცირე რამ უსწავლიათ, ცა ქუდად აღარ მიაჩნიათ, დედამიწა ქალმანად, თავი ყოვლად-შემძლე ბრძენთა ბრძენი ჰგონიათ, და მღვდელი რომ თავისს ბეჩავ მრევლს უქადაგებდეს, არაწმინდა კათაკმეველნი უზრდელ კრეჭა-ღრეჭას მოჰყვებიან და ყურში აგონებენ მქადაგებელს; „გეყოფა, მამაო, ეგ ხომ ჩვენ პირველ კლასშიაც ვიცოდითო“, გამორბიან ეკკლესიიდგან და ასეთის მიუტევებელის სირეგვნით მდაბიო ხალხს სასოებას უკარგამენ. მრავალთა შორის ერთს მაგალითს მოგახსენებთ: შარშან ვაქირის ნათლის მცემლის პირველი მღვდელი სასოებით უქადაგებდა დღეობა დღეს სადღესასწაულოდ მრავლად თავ-მოყრილ მდაბიო ხალხს, იმ დროს ურცხვი-უზრდელი სიცილ-ხარხარით გამოცვივდნენ ტაძრიდამ ზოგიერთი გონება-დაგვალული „ყმაწვილები“ და ერთმა მათგანმა ერთი გაზეთი შეცდომაშიაც-კი შეიყვანა თავხედური სიცრუით: ნათლის მცემლობის დღეს ქადაგება არა ყოფილაო, მითომ და იყო, მაგრამ რაც იქ მღვდელმა წარმოსთქვა, მე ის პირველ კლასშიაც ვიცოდიო. დროა შეიგნონ გონება დაგვალულმა „ყმაწვილებმა“, რომ მღვდელი თავისს მდაბიო მრევლს უქადაგებს და არა იმათთანა უმეცარ მეცნიერებს და წინდაუხედავ-მავნე ატეისტებს.

მთადიდელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

«ფიგარო» ამბობს, რომ საფრანგეთი სასტიკად დასჯის სისუსტისთვის კაზიმირ პერიეს, რადგანაც მან ჩააბარა ამ უკანასკნელს დაცვა საზოგადოებისა, რომელსაც საფრთხე მოელისო. ამავე აზრისანი არიან ყველგან.

პერიესთან დაახლოვებულნი თურმე ამბობენ, რომ პერიე ამ თავისუფლებას აუტანელ სიმძიმედა სთვლიდაო. ამ მოკლე ხნის წინად ერთს თავისს მეგობარს აი თურმე რა უთხრა: «მოწყენილი ვარ. ელისეის სასახლე საპყრობილეა ჩემთვის. იმის გამო, რომ მოვალეობა ასე დიდი მძევს და გავლენა-კი სულ მცირე მაქვს და აგრეთვე იმის გამო, რომ რევოლიუციონერთა თავ-დასხმამ და შეურაცხყოფამ თავი მოაბეზრა ჩემს ცოლს და დედას, გადავწყვიტე სამსახურს თავი დავანებოო“.

«„Journal de Dèbats»-ი ამბობს: „ისტორია პერიეს სამსახურიდგან გადადგომის მიზეზს-კი აღმოაჩენს, მაგრამ გაამართლებს თუ არა, ეს-კი არავინ იცის. ამ საზარელ განსაცდელის გამო, რომელსაც დღეს თანდათან გაზვიადებული რევოლიუციონერთა გამბედაობა და ზომიერების დამცველ დასთა უძლურება უქადის ქვეყანას, შეიძლებოდა სამსახურის გადადგომის გარდა სხვა რაიმე საშუალება ეხმარაო“. «გოლუა» პერიეს სამსახურიდგან გადადგომას გაქცევას უწოდებს და ამბობს, რომ ამის მიზეზი პერიეს წარსულს ცხოვრებაში და თვით მისს ხასიათში უნდა ვეძებოთო. «ფიგარო» ამბობს, რომ თუ პერიე ამ სამწუხარო გარდაწყვეტილებას მაგრად დაჰჭერს ფეხს, ევროპა ისევე სასტიკად მოეპყრობა ამას, როგორც საფრანგეთიო. ჟურნალებიც ამავე აზრისანი არიან, რომ პერიეს მიერ პრეზიდენტობისაგან უარის თქმა გაქცევააო, მაგრამ შეპნიშნავს, რომ ეს მოვლენა სხვა-და სხ. დასების ანარქისტული მდგომარეობის შედეგიაო „ოტორიტე“ სამსახურიდგან გადადგომის მარტო ერთის კაცის გამტყუნებას კი არაა მთელის კრებისასაც-კი შესაძლებლადა სცნობს. „ლიბრ პაროლ“ წინასწარმეტყველობს, რომ პერიეს სამსახურიდგან გადადგომით საქმე არ გათავდებაო და ამაში სახელმწიფო ცვლილების დასაწყისისა, პარლამენტისა და საყოველთაო ხმოსნობის წინააღმდეგობასა ჰხედავს; პერიე-კი ახალს დამტკიცებასა სცდილობსო.

Evènement-ი პერიეს ამტყუნებს, მაგრამ იმისი იმედი-კი არა აქვს, რომ პერიემ თავისს გარდაწყვეტილებისაგან უარი სთქვას. Petit Journal-ი ამტკიცებს, რომ ეს გარემოება არა ჩვეულებრივი და საყურადღებოა და ამიტომ სამსახურიდგან გადადგომა უფრო მეტად გაამწვავებს ამ საშიშს გარემოებასაო. „რადიკალი“ სინანულით ეგებება ამ სამწუხარო დაცემას კაცისას, რომლის ძალასა და მხნეობასაც ისე აქებდნენ. „Intransigeant-ი პერიეს სამსახურიდგან გადადგომას იმას ამიზეზებს, რომ პერიემ იგრძნო თვისი უღონობაო. Petite Rèpiulligue პერიეს დაცემაში მხოლოდ, სოციალისტების გამარჯვებასა ჰხედავს., Soleil-ი ამბობს, რომ პერიეს არ ჰსურდა ამ საეჭვო ბრძოლაში თვისის ღირსების დამცირება და მეფურის სიამაყით აღსავსე სიძულილით გამოაცხადა პარლამენტის წინაშე თავისი სამსახურიდგან გადადგომაო. ეს სამსახურიდგან გადადგომა კონსტიტუციის განხილვას იწვევსო. Voltaire სწერს, რომ მაგ-

---

წიწებით უგდებდა ყურს კრებულის ღაღადისა. თუმცა ამავე დროს, შემსვლელ-გამსვლელიც არ ეპარებოდათ. ამ დროს ერთი უცნობი ყმაწვილი კაცი შემოვიდა საყდარში. წინ წამოდგა. სანთლები იყიდა და დიდის მოწიწებით აანთო. სამჯერ მოიყარა მუხლი, წყნარად გამობრუნდა და კედელს აეყუდა. ეს მცირე მოქმედება, ისეთი კოხტად, ისეთი მოხდენით შეასრულა ამ ყმაწვილმა კაცმა, რომ ბევრმა თვალი გამოაყოლა. ერთი ბებერი ხომ სასოებაში მოვიდა და პირჯვრის გადაწერით სთქვა. „შეგიწიროს შვილო ღმერთმაო.“ მოწაფეებში ჩურჩული გაიმართა.

— აი, ბიჭო, ახალი მასწავლებელი, რაო ახალი მასწავლებელი? აბა რომელი? აი კედელთან რო სდგას ის სხვა. ამ გვარად მთელი მოწაფეობა ალაპარაკდა, ერთმა მეორეს გადასცა მეორემ მესამეს. (თურმე ზოგიერთას სცნობოდაო ეს ყმაწვილი კაცი) ჩქარა ყველამ გაიგო რაშიც იყო საქმე და საშინელი ჩურჩული გაიმართა. ზედამხედველი ციბრუტივით დატრიალდა. ხან ერთს მივარდა, ხან მეორეს. ბევრს წიგნაკიც დაანახვა. ზედამხედველის სასტიკმა სახემ და წიგნაკის დანახვებამ მოწაფეები მალე დააჩუმა. მხოლოდ ახლა მეორე გვერდზედ ასტყდა ჩურჩული. მლოცველების ყურამდისაც მიეღწია, სიტყვას „ახალი მასწავლებელი“ და ყველას ცნობის მოყვარეობა აღეძრა.

— აბა, ქალო, დაეკითხა ერთი ცირა (გასათხოვარი ქალი) მეორეს, რომელია მასწავლებელი?

— მგონი აის უნდა იყოს, ჩასჩურჩულა ყურში მეორემ და თვალით კარებში მდგომი ყმაწვილი კაცი ანიშნა.

პირველმა დიდხანს უყურა ყმაწვილს კაცს, ვეღარ მოითმინა და ახლა მეორეს წაჰკრა მუჯლუგუნი.

— გოგო, აგერ ის ახალი მასწავლებელი ყოფილა. რა ლამაზია არა?

— მე შენზედ წინად ვიცნობდი მაგას. გუშინვე ვნახე.

— რა გვარია არ იცი?

— აბა რა ვიცი რა გვარია! გულმოსულად უპასუხა და პირჯვარი გადაიწერა.

— პირჯვარი დაიწერე, თორემ ბევრს კი ლოცულობ აი, დაცინვის კილოთი დააკვესა პირველმავე და ახლა სხვას მიჰმართა. ამ გვარად სანამ წირვა გამოვიდოდა ყველამ გაიგო ვინც იყო ის ყმაწვილი კაცი. მაგრამ მე იმედი მაქვს რომ მკითხველი უფრო მალე მიხვდებოდა. ეს ყმაწვილი კაცი გახლდათ ანდრია ავყიაშვილი.

წირვის გათავების შემდეგ ხალხი ჟივილ-ხივილით დაიშალა. მოწაფეებმა იგრძნეს რა თავისუფლად თავი კუნტრუშ-ხტუნაობით შინისკენ მოჰკურცხლეს. ხალხმა კი, ნამეტნავად, ცირებმა, მასწავლებელზედ დაიწყეს ლაპარაკი. ბევრი ამათგანი კიბეზედაც გაჩერდა, უნდოდათ თვალი დაეკრათ ახალის მასწავლებლისათვის, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდათ. ანდრია ფეხდაფეხ მაჰყვა ზედამხედველს და ორივენი ცნობის მოყვარე თვალთაგან მალე მიიფარნენ. ზედამხედველის სახლი საყდარსავე ჰქონდა მობმული.

— ნება მიბოძეთ, ბატონო, გავაცნოთ ჩემი თავი—აღელვებულის ხმით უთხრა ანდრიამ, როდესაც უფროსმა მოხედა და გაკვირვებით დაუწყო ცქერა.—მე გახლავართ ანდრია გიორგის ძე ავყიაშვილი, სტუდენტი ამადა ამ საშუალო სასწავლებელისა, რომელშიაც სწავლა ამ გაზაფხულს დავამთავრე და დღეს ბედნიერება მაქვს თქვენი ხელქვეითი გავხდე. თქვენდა რწმუნებულს სასწავლებელში მასწავლებლად გამამწესეს.

უფროსი ერთ-ხანს გაშტერდა და მერე მხიარულად წამოიძახა.

— მეც დიდად მოხარული ვარ, ანდრე გიორგიჩ, თქვენის გაცნობისა, დიაღ, ამ დღეებში მომივიდა მოწერილობა თქვენს შესახებ, ღიმილით დააბოლოვა უფროსმა და მუშტრის თვალით დაუწყო ცქერა ანდრიასა. რამდენჯერმე აათვალიერ-ჩაათვალიერა თავით-ფეხებამდე და ისეთის ცბიერის თვალით უყურებდა, გეგონებოდათ, სულის სიღრმეში უნდა ჩაუძვრესო, და ამოიკითხოსო თუ რა სწერია ამ ყმაწვილის კაცის გულზედაო. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ბ-ნს ზედამხედველს საშინლად ეჯავრებოდა ყმაწვილი კაცები, და სძულდა უფრო ისინი, ვინც (უფროსის სიტყვით) მეტი ლაპარაკი იცოდა, ე. ი. ვინც თავისს მსჯელობას იქონიებდა იქ, სადაც უფროსები, ჩინითა თუ ხნით, ლაპარაკობდნენ. კიდეც ამიტომ უყურებდა ჩვენს ანდრიას ასე გაკვირვებით.

ანდრია მეტის-მეტს გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა. საითაც გაიხედავდა, უფროსის მოციმციმე თვალები სულ მას მისჩერებოდა. და მერე როგორ უყურებდა და! სწორედ მახათივით უვლიდა გულ-ღვიძლში. საწყალი ანდრია კიკანათში გაბმულს ჩიტს დაემგზავსა. უნდოდა ეთქვა რამე, მაგრამ ვერა მოეხერხებინ-რა. უნდოდა ენა დაეძრა, მაგრამ ენაც სასაზედ მიჰკრობოდა და პირში ნერწყვი გაშრობოდა. «საკვირველია ღმერთმანი რა დამემართაო, ჰფიქრობდა ანდრია, თითქოს სათქმელი ბევრი მქონდა, თითქოს წინადვე მოვემზადე და ახლა-კი შოშიასავით ენა ჩამივარდაო... ნეტა რასა ჰფიქრობს ჩემზედ ეს კაცი» ჰკითხავდა თავისს თავს ანდრია. და დარცხვენილის თვალებით ოთახს ათვალიერებდა. პირველად იგრძნო ანდრიამ, რომ იგი მოუმზადებელია და ცოტა არ იყოს შერცხვა კიდეც.

კარგა ხანს იყვნენ გაჩუმებულნი. ბოლოს სიჩუმე უფროსმა დაარღვია.

— რამდენი წლისა ხართ?

— მე მგონი 23 უნდა ვიყო, იცრუა ანდრიამ.

— ოცდა-სამისა? ჯერ სულ ყმაწვილი ყოფილხარ, ჩემო ანდრე გიორგიჩ და როგორც ყმაწვილს კაცს გაფრთხილებთ გმართებს... მე იმედი მაქვს, რომ გულ-მოდგინედ მოეკიდები შენს სამსახურს, არ აჰყვები სხვა-და-სხვა „მყვირალებს“, [illegible]ლი და პატიოსანი იქმნები, რაც შეეხება შენს წარმატებას, ეს ჩემზედ მოაგდე, მე ვიცი, როგორც დაგაჯილდოვებინებო. ამ „საკითხავის“ დროს უფროსი პირდაპირ თვალებში უცქერდა ანდრიას.

ანდრია-კი გაშტერებით დასცქეროდა იატაკს და არ იცოდა რა ექმნა. უფროსის სიტყვები უდიერად ეჩვენა, მაგრამ იმის მეტი ვერა მოახერხა-რა, რომ დაბალის ხმით მოახსენა: „ვეცდები დავიმსახურო თქვენი და უმაღლესი მთავრობის ყურადღებაო.“

უფროსმა მადლობა გადაუხადა ამ გვარის თავაზიანობისათვის და ანდრია სამასწავლებლო ოთახში გაიწვია, სადაც ძველი მასწავლებლები შეგროვილიყვნენ კრების მოსახდენად. შესვლის უმალვე ახალი მასწავლებელი წარუდგინა. ყველამ სათითაოდ ჩამოართვეს ხელი და როგორც ყმაწვილს კაცს ყურადღებით დაუწყეს ცქერა. ანდრია ჭარხალივით წამოწითლებულიყო მოკლე კითხვებზედ მოკლე პასუხს აძლევდა. მასწავლებლებს რაღაც სჯა-ბაასი ჰქონდათ. უფროსმაც ერთხანს ყური დაუგდო, მაგრამ მალე მოსწყინდა, მთქნარება დაიწყო და გარედ გამოვიდა. მასწავლებლებმა მასლაათი განაგრძეს. იმათში ბევრი ოხუჯი კაცი ერია და ყველაზედ ბევრსაც ისინი ლაპარაკობდნენ. ანდრია კუთხეში მიმჯდარიყო და სათითაოდ ყველას სინჯავდა. მასწავლებლებს ლაპარაკის

რესპუბლიკას მიაყენეს მოქმედებით შეურაცხება და არა სხვას ვისმე. „Ertaffette"-ი ამბობს, რომ ტიერი, გამბეტა და ფერრიც იტანდენ ხოლმე სხვა და სხვა შეურაცხებას, მაგრამ თავისის თანამდებობისათვის, თავი კი არ დაუნებებიათო. რესპუბლიკა მაინც დაამტკიცებს, რომ სასიცოცხლოდ აქვს პირიო. ხუთშაბათს კონგრესი შესდგება და საფრანგეთში ყოველივე უწინდელს წესსა და რიგზედ დარჩება. Eclair პერიეს სამსახურიდგან გადადგომას უგუნურებად სთვლის. „Matin"-ი ამბობს, რომ პერიეს ჯერ ეპისტოლეთი უნდა მიემართნა პარლამენტისა და სენატისათვის და პარლამენტი დაეთხოვნა იმის მაგივრად, რომ სამსახურისათვის თავი დაენებებინაო. მინისტრებს ღამე ბჭობა ჰქონდათ იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ამ საქმის გამო რა მდგომარეობაშია.

უმეტესობა იმ აზრისა არის, რომ აწინდელი მდგომარეობა დიდად სახიფათო არისო. ეჭვობენ, რომ შინაური პოლიტიკა გავლენას იქონიებს საგარეოზედაც. „Tageblats"-ი ამბობს, რომ საფრანგეთის ისტორიის მიხედვით ან რევოლიუცია უნდა ასტყდეს და ან დიქტატორი გამოვიდეს ვინმე. რევოლიუცია-კი უფრო მოსალოდნელიაო.

—

ლონდონიდგან: მთელი ჟურნალ-გაზეთობა ჰკიცხავს კაზიმირ პერიეს საქციელს. „Daily News"-ი ამბობს: „ვერაფრით ვერ იმართლებს თავს პერიე. მან დაამტკიცა, რომ თითონვე არა ჰქონია თავისი ნდობაო".

რომიდგან: პერიეს სამსახურიდგან გამოსვლამ ძლიერ აალელვა აქაურობა. „Messagero" ამბობს, რომ პერიემ ისე ღრმად შეტოპა რადიკალებთან ბრძოლაში, რომ პრეზიდენტად ველარ დარჩებოდაო. „Constituzio" ამტკიცებს, რომ პერიეს საქციელის გამო საზარელი მდგომარეობა მყარდებაო.

### ახალი მინისტრი

—

გზათა მინისტრად დაინიშნა რკინის გზების მთავარ ინსპექტორად ნამყოფი თავადი მიხეილ ივანეს ძე ხილკოვი.

რკინის გზის საქმე ახალ მინისტრს ზედ მიწევნით აქვს შესწავლილი ამერიკაში, სადაც მას ორჯელ მოუხდა ყოფნა. სამხრეთ ამერიკაში თ. ხილკოვი ჰმსახურებდა ტრანსატლანტიკურ რკინის გზაზედ. სამსახური ჯერ უბრალო მუშის თანამდებობიდგან დაიწყო. მერე მემაშინეს თანაშემწედ გახდა და შემდეგ უფროსი მემაშინეობაც ჩაიბარეს. ბოლოს გამგეთაც დანიშნეს. მანამ სამშობლოში დაბრუნდებოდა თ. ხილკოვი, ლივერპულში მთელი წელიწადი ზეინკლად იყო. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც თ. ხილკოვმა მთავარ ინსპექტორობა მიიღო რუსეთის რკინის გზებზედ.

აქედგან აშკარადა სჩანს, რომ თ. ხილკოვს ერთობ კარგად შეუსწავლია რკინის გზის საქმე.

სადაც-კი უმსახურია თავადს, ყველგან სიმარდისა, მხნეობისა და გამტანის სახელი დაუმსახურებია. თავისს ხელ-ქვეითს დიდის სიყვარულით და თავაზიანობით ექცეოდა.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ბერლინიდგან დეპეშაა მოსული, რომ 4 იანვარს, იმპერატორი მოულოდნელად და უმხლებლებოდ მივიდა საფრანგეთის საელჩოში და ელჩს ჰერბერტს დიდხანს ებაასა.

—

პერიეს შემდეგი ეპისტოლე გაუგზავნია, რომელიც პარლამენტებში წაიკითხეს.

„მე არას დროს არ დმიმალია სიძნელე იმ ვალდებულებისა, რომელიც ეროვნულმა კრებამ მაკისრებინა. ძალიან კარგად მესმოდა იმის სიძნელე. თუ ვინმე იმ დროს ანებებს თავს თავისს თანამდებობას, როდესაც საფრთხე მოელის, მაშინ ღირსებას არა ჰკარგავს, თუ დარწმუნებულია, რომ ამით თავისს სამშობლოს ემსახურება. რესპუბლიკის პრეზიდენტი მოკლებულია მოქმედებისა და მეთვალ-ყურეობის საშუალებათ, მხოლოდ ხალხის ნდობაში ჰპოვებს იგი ზნეობრივს ძალას, ურომლისოდაც იგი არარაა. მე სრულიადაც არ ვიქვნეულობ, რომ საფრანგეთი კეთილ-მოაზრე და სამართლიანი არ იყოს, მხოლოდ ამას-კი ვიტყვი, რომ საზოგადოების აზრი სცდება. ოცს წელზედ მეტია, რაც ბრძოლაა ერთის და იმავე საქმის გამო, რესპუბლიკის ოცის წლის სიყვარულმა და დემოკრატიის მინდობილობამ მაინც საკმარისად ვერ დაარწმუნეს რესპუბლიკელები, რომ ჩემი პოლიტიკური რწმენა გულწრფელი და მხურვალე იყო, ვერ გადაათქმევინეს ჩემს მოწინააღმდეგეთ, რომელნიც ჰფიქრობენ, ვითომც მე იმათის იმედების განმახორციელებელი იარაღი ვიყავ. ექვსი თვეა, რაც შეუბრალებლად შეურაცხ-ჰყოფენ ჯარს, სასამართლოს, პარლამენტს და სახელმწიფოს გამგეს და თავისუფლება სოციალურის ზიზღის განდიდებისა აზროვნების თავისუფლებად ითვლება. პატივისცემა და პატივის-მოყვარეობა ჩემის ქვეყნისა ნებას არ მაძლევს, რომ ყოველ დღე შეურაცხვყო ხოლმე ჩემის ქვეყნის უკეთესნი მოსამსახურენი და ან ის, ვინც უცხო ქვეყნელების თვალში ქვეყნის წარმომადგენელად ითვლება.

სამსახურს თავს ვანებებ იმიტომ-კი არა, რომ თავიდგან მოვიცილო სიმძიმე ზნეობრივის პასუხის-გებისა, რომელიც მეკისრად მაწევს, და ან სისუსტით. არამედ მგონი მიმიხვდებიან თუ ვიტყვი, იმიტომ, რომ საკონსტიტუციო მოთხოვნილებანი ვერ აიძულებენ საპოლიტიკო სინიდისის გაჩუმებასა; რაკი მე ვანებებ თავს ჩემს მოვალეობას, გზა მივეცე და ადგილი დავუცალო სხვას, ვინც საფრანგეთის ღირსებასა და დიდებასა სცდილობს. მე არასოდეს არ ვუღალატებ ჩემს თავს და ამასთანავე დარწმუნებული ვარ, რომ ცვლილებათა შემოღება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ რომ თვით მთავრობა მხურვალე მონაწილეობას მიიღებს; მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ რომ მთავრობა უზრუნველ-ჰყოფს კანონთა პატივისცემას, და აიძულებს თავისს ქვეშევრდომთ, დაიმორჩილოს და შეაერთოს ისინი საშრომად საზოგადო საქმის სასარგებლოდ. აწინდელის სამწუხარო წუთის მიუხედავად, მე მრწამს, რომ ქვეყანა წინ მიდის და სამართლიანობა განმტკიცდება. სენატი და პარლამენტს უარს ვუცხადებ რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზედ."

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 იანვარი

**პეტერბურგი.** ამ წელს ფინლიანდიაში ოთხი ახალი რუსული საერო სკოლა იქნება დაარსებული.

გაზ. „ნოვოე ვრემია" გვატყობინებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს სხვა-და-სხვა ვაჭრობა-მრეწველობაში აღებულს მოგებას გარდასახადი დაადოს ქალაქების სასარგებლოდაო.

გაზ. „ნოვოსტის" შეუტყვია, რომ ფინანსთა, მეურნეობისა, გზათა და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენელთ ექმნებათ ბჭობა იმის შესახებ, რომ ამ მიმდინარე წელს ზღვით გარდასაზიდს ხორბლეულობაზედ გარდასახადი იყოს დადებული.

**ჰელსინგფორსი.** სენატს წინადადება წარუდგენია უმაღლესად დასამტკიცებლად, რომ წლიურად 48000 მარკ. იქნას გადადებული ეპისკოპოსისა, კონსერვატორიისა და ფინლიანდიაში ახლად დაარსებულ მართლმადიდებელთა ეპარქიის საკათედრო ტაძრის კრებულის სასარგებლოდ.

9 იანვარი

**მოსკოვი.** იმპერატორის ალექსანდრე III ძეგლის დასადგმელად საგუბერნიო ერობის კრებამ 15000 მანათი გადსდო. კრებას წარედგინა მოხსენება იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქმნას საყოველთაოდ სწავლა და ხელი შეეწყოს მამულის შესყიდვაში სოფლის საზოგადოებათ.

**თეირანი.** მიწის ძვრამ მეორედ დაანგრია ქ. კუჩანი; ბევრი დაიღუპა; აბანოს ქვეშ ასი დედა-კაცი მოიტანა.

**ნიუ-იორკი.** ცხენის რკინის გზის მსახურთა პირი შეჰკრეს და დასთქვეს მუშაობა. ამიტომ ქუჩაშიაც მოხდა უწესოება. მილიცია მეამბოხეებზედ იერიშით შევიდა, უწესოების ჩამდენ-

---

საგნად მარტო უფროსი ამოენიშნათ. პირველად აქვე გაიგო ანდრიამ, რომ უფროსს მეტ სახელად „ურიის ცხენა" რქმევია თურმე. ამ სახელის გაგონებაზედ ანდრიამ კინაღამ არ გადიხარხარა, მაგრამ თავი შეიკავა და კვლავ მასწავლებლებს დაუწყო სინჯვა.

— როგორ ეტყობათ, რომ ერთის „ქარხნიდგან" არიან გამოსულებიო ჰფიქრობდა ანდრია. ჩვენი „ქარხნის" კაცი თუნდა იერუსალიმს წაიყვანო, მაინც თავისს ელ-ფერს არ დაჰკარგავსო. ისევ ის „ბურსაკები" ისევ ის ლაყუნები. დიახ ჩვენ ყველა ერთიყალიბისა ვართ და აბა ამათთან რა გამიპირდებაო". შეიძლება ანდრია, ჩვეულებრივად ოცნებაში წასულიყო, მაგრამ ამ დროს უფროსი ხელ მეორედ შემოვიდა და კრება დაიწყო.

IV

კრებამ დიდი ლაპარაკი გამოიწვია. მით უმეტეს, რომ საგანი დიდ მნიშვნელოვანი იყო. დღეს უნდა გადაწყვეტილიყო ერთის მოწაფის ბედიღბალი.

ერთს ბავშვს მეორისთვის რაღაც დაეშავებინა. ზედამხედველმა ბავშვის საქციელი მომაკვდინებელ ცოდვად ჩასთვალა, შეჰკრიბა მასწავლებლები და გამოუცხადა, რომ ესა და ეს მოსწავლე უნდა გამოვრიცხოთო.

— მე მგონია, ივან ივანიჩ, რომ ეგ დიდი სასჯელია, დაიწყო ერთმა მასწავლებელთაგანმა. მოდით ნუ გამოვრიცხავთ, ნიჭიერი ბავშვია. იქმნება როგორმე მოვარჯულოთ.

— მე გეუბნებით მაგ ბავშვის სასწავლებელში დაყენება შეუძლებელია, პირქუშად შენიშნა უფროსმა და ისეთის თვალით გადახედა კრებას, თითქოს ეუბნება.

— აბა რას ლაპარაკობთ, ხომ იცით ჩემთან ვერაფერს გააწყობთო.

— მე მგონია, სასწავლებელი იმ გვარი დაწესებულებაა, რომელიც მოზარდის გასწორებას უნდა სცდილობდეს და არა გამორიცხვას. აუმატა ხმას მოკამათე მასწავლებელმა. სასწავლებელი ქურაა და კეთილი მამაშვილური მოპყრობა—ფოლადი, რომელიც სწავლა წვრთნის ქურაში გამოვლებულს მოსწავლეს ფხად უნდა დაედოს.

— თქვენ გეუბნევიან, რომ მაგ მოწაფის დაყენება შეუძლებელია, დაიღრიალა უფროსმა—და თუ თანახმა არა ხართ, თქვენი აზრი საქმის მწარმოებელს დავთარში ჩააწერინეთ. მე-კი დავამტკიცებთ, რომ თქვენ კანონის წინააღმდეგი ხართ.

ამ სიტყვებმა საშინელი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კრება დას-დასად გაიყო ყველა თავისას ლაპარაკობდა. მომეტებული ნაწილი უფროსს მიემხრო მისმა სასტიკმა მუქარა-ყვედრებამ დასძლია მოწინააღმდეგენი და კრებამ ერთხმად დაადგინა: „პატივ-სადებელ მიზეზების გამო გამორიცხოს მესამე კლასის მოწაფე № და განაჩენი უმაღლესს მთავრობას წარუდგინოს დასამტკიცებლადო".

აბა ახლა ხელი მოაწერეთ, გაისმა ხმა. პირველად უფროსმა და მისმა მომხრეებმა მოაწერეს ხელი. დანარჩენებიც სათითაოდ აწერდნენ ხელს. არ უნდოდა ხელის მოწერა მოწინააღმდეგე მასწავლებელს. მაგრამ ხათრი ვეღარ გაუტეხა უფროსსა და თავისის სინიდისის წინააღმდეგ კოხტად გამოსჭიმა თავისს სახელი და გვარი განაჩენის ფურცელზედ.

ასე დასრულდა ეს კრება და ერთი მოზარდიც ჩვეულებისამებრ გულგრილად, ჰიანი პანტასავით გადაისროლეს, მიანდვეს ცხოვრების ტალღებს, გაჭირვება-გარყვნილებმს პირში მიაჩჩეს.

ანდრიაც დაესწრო ამ კრებას. მაგრამ ხმა-კი არ ამოუღია. იმისთვის ახალი ხილი იყო ეს კრებები და ჯერ-ჯერობით არც არა ესმოდა-რა. მოსწონდა მოწინააღმდეგე მასწავლებელი, მაგრამ უფროსი უფრო მტკიცე, პატიოსან და მაგარ ხასიათის კაცად მოეჩვენა. „მაგასთან სამსახური ხუმრობა არ ყოფილაო", გაიელო გუნებაში ჩვენმა ანდრიამ და ღრმად ჩაფიქრდა.

—

— ახლა ხომ მოისვენა მაგ ურიის ცხენმა, მაგან! გაწიწმატებით მილაპარაკობდნენ მასწავლებელნი. მარა, ყველას ენა მუცელში ჩაგვივარდა და თავისას გაიტანდა მაშ რას იზავდაო.

მართლა და ან-კი რა ექმნათ? ივანე ივანეს ძე ასკინკილოვი, სასწავლებლის უფროსი, მეტის მეტი გაქნილი, გაიძვერა და გამოცდილი კაცი იყო. მასწავლებლები „ურიის ცხენს" ეძახდნენ და ეს სახელწოდება სწორედ ზედ გამოჭრილი იყო. მხოლოდ ეს სახელი მარტო ბრაზ მორეულს მასწავლებლებსა ფხანდა გულსა, თორემ თვით ზედამხედველს არაფერს აკლებდა. ის თავისს „ურიის ცხენობას" არ აგდებდა, რადგანაც დღითი დღე უფრო სასტიკდებოდა, დღითი დღე უფრო შიშის ზარსა სცემდა თავისს ხელქვეითებს, სასტიკს ხასიათთან სასტიკი გამომეტყველება უფრო საშიშარსა ხდიდა ამ კაცს. მილეული და ბალნით შემოსილი სახე, პატარა მოციმციმე თვალები და გაბურძგნილი ულვაშები, მის სულმოკლეობას ამტკიცებდა. მართლაც მეტის მეტი ვიწრო შეხედულობის კაცი იყო ჩვენი ზედამხედველი, მაგრამ ის ოხერი ოქრომკედით მოქარგული მუნდირი „შპაგ-კაკარდითურთ" მედიდურს შეხედულობას აძლევდა. როდესაც მორთულ მოკაზმული „ოფოფით" *) თავზედ გარედ გამოვიდოდა ხოლმე, ყველა ძალაუნებურად მიაქცევდა ყურადღებასა. ზოგს კიდეცა შურდა მისთვის და წაიდუდუნებდა ხოლმე, „ნეტავი შენს დედას, რომ შენა ჰყავხარო" ამ გვარი სიტყვები, ერთს დღეს, თვით „ურიის ცხენს" ყურში გააგონა ერთმა ბებერმა. „ურიის ცხენს" ესიამოვნა, ულვაშებზედ ხელი გადაისვა, ამაყურად მიავლ-მოავლო თვალი მიდამოს და წაიდუდუნა: „მაშ ტყუილად-კი არა ვარ „სტატსკი სოვეტნიკიო".

*) სადღესასწაულო ქუდი.

დიახ, უფროსი „სტატსკი სოვეტნიკი" გახლდათ და კიდეც ეს უკვირდათ მის თანა-მოსამსახურეთ. „ნეტა რითი დაიმსახურა ამ კაცმა ეს ხარისხიო! ბევრს ილაპარაკებდნენ ხოლმე ერთმანეთში გულ-დამწვარი მასწავლებლები, ნამდვილს მიზეზსაც პოულობდნენ, მაგრამ ვის რას ეტყოდნენ? ვის რას გაუწყობდნენ. მარტო იმითი-ღა იქარვებდნენ გულის დარდს, რომ სიცილ-კასკასით ერმანეთს ეტყოდნენ ხოლმე „ჩუმათ იყავით, თორემ ხომ იცი ჩვენი „ურიის ცხენი სტატსკი სოვეტნიკიაო"... ასე დასცინოდნენ ხოლმე, მაგრამ ეს „ურიის ცხენი" მათი უფროსი-კი იყო და! ამიტომ თუ ზურგს უკან ცუდად იხსენიებდნენ, სამაგიეროდ პირში ელაქუცებოდნენ, ან-კი რა ექნათ. კაცს სმა-ჭმა ლუკმა პური უნდა, და უფროსი ხომ მათი ლუკმის მძლეველია. რომ არ მილაქუცებოდნენ, „რაპორტების" წერა-კი არ დაეწყებია ურიის ცხენსა! ხელად გაუსვამდა კალამს ესა და ეს კაცი ამა და მიზეზების გამო არ მომწონსო და დაბეზღებულის წირვა გამოვიდოდა. „რაპორტს" რევიზია მოჰყვებოდა, რევიზიას სამსახურიდგან დათხოვნა და მერე! არა, ძმავ, სახვდარი რომ შენი ბატონი იყოს, ასეც ნუ ეტყვიო. ასე ჰფიქრობდენ თითქმის ყველანი და თუ ზოგიერთები ერთს მაღალს სიტყვას ეტყოდნენ ხოლმე უფროსს, ათი და ოცი დაბალი უნდა ეთქვათ. „შეიძლება მამაცი იყო ისიც მხო-

...ი იგერიებდნენ; ორივე მხრი-ვე მრავალია დაჭრილი.

**პრაგა.** ჩეხთა კრებაზედ ვაშატიმ წარადგინა წინადადება, რომ ბოგემიის საშუალო სასწავლებელში რუსულის ენის სწავლება იყოს შემოღებული.

**ჩიფუ.** იაპონიის ესკადრა იუნგერინგში მივიდა, რომელიც ვეი-ხაი-ვეის მახლობლად მდებარეობს. დაიჭირო ეს ადგილი და 25000 ჯარის კაცი გადმოსხა აქ.

### რუსეთის ცხოვრება

—

გრაფს მუსინ პუშკინს მკაჩფასი საჩუქრები მიაქვს პეტერბურგს სულთნისაგან გამოტახებული ხელმწიფე იმპერატორის მისართმევად. სხვათა შორის მიჰყავს ორი არაბული ცხენი და ფარჩეულობა. გრაფს თან მიჰყვება სულთანის ადიუტანტიც.

10 იანვარი

**პეტერბურგი.** გაზეთებს შეუტყვიათ, რომ მთავრობას გადაუწყვეტია გადადვას ბათუმში მართლმადიდებელ ეკლესიის ასაშენებლად 160 ათასი მანეთი.

**პარიჟი.** ბურჟუამ არ იკისრა სამინისტროს შედგენა.

### ღია წერილი გაზ. „ტიფ. ლისტ.“ რედაქტორის ქ. გ. ხაჩატუროვის მიმართ

—

თქვენის გაზეთის პირველ ნომერში, 1 იანვარს, თქვენ მე კვლავ მიწოდებთ ზილბერშტეინად და ფრჩხილებში-კი უმატებთო „იგივე პავლოვიო“. საჭიროდ მიმაჩნია გამოგიცხადოთ, რომ მე ხელთა მაქვს უმაღლესის ბრძანებით ბოძებული ცნობა № 24012 1893 წლის 16 ივლისისა, სადაც სწერია: „ხელმწიფე იმპერატორმა ამა ივლისის 8-ს ჰბრძანა ამიერიდგან „ზილბერშტეინის“ მაგივრად იგი «პავლოვათ» იწოდებოდეს.“ ესე უმაღლესი ბრძანება ვაცნობე ფინანსთა მინიტრს აღსასრულებლად.

ამას შესაფერი ხელის მოწერა მოსდევს. ზემო მოხსენებულიდგან თქვენ დაინახავთ, რომ არავისა აქვს უფლება სხვაფრივ მიწოდონ ხოლმე და არა ისე, როგორც ზემოდ დასახელებულს საბუთის ქაღალდში ვარ წოდებული. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამიერიდგან შესაფერის პატივის ცემით მოეკიდებით ჩემის გვარის გამოცვლასა და აღარ მიუმატებთ ხოლმე მას წინანდელს და გადასხვაფერებულს გვარსა. რაიც შეეხება სხვაფრივ ჩემს ცუდად მოხსენიებას თქვენს გაზეთში, საჭიროდ არა ვრაცხ გიპასუხოთ რამე, რადგან თითქმის ყველამ იცის, რომ მიზეზი თქვენის ამ ნაირის საქციელისა კონკურენცია და გროშების ანგარიშია, რომელიც გაიძულებთ ისიც-კი დაივიწყოთ, რომ ჩემს ქორწილში მამობა იკისრეთ და წინედ კარგი დამოკიდებულება გვქონდა ერთმანეთთან. თქვენ საკუთარი გაზეთი გაქვთ და, რაღა თქმა უნდა, გიადვილდებათ ჩემთან ბრძოლა და ათასი ცილის წამება, მით უფრო, რომ არასოდეს არ მიბეჭდავთ ჩემს საპასუხო წერილებს, მაგრამ თუ სათაკილოდ მიგაჩნიათ მომგები ბილეთების ყიდვა, ბ-ნო რედაქტორო ხაჩატუროვო, თქვენ რაღათ მისდევთ, ამავე ხელობას.

ვინ დაამტკიცა, რომ იმ ბანკსაც, რომლის აგენტად თქვენა ხართ, იგივე არ დაემართება, რაც რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკს და ამხანაგობის დე-ლა-ფარ და ამხ. დაემართა.

ს. პ. პავლოვი

# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათამდე სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. პრიტკასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიციისა ნავასარდიანი.**

(857—1468)




**ბენზოევის საპონი**

საზღვარ-გარეთის საპონზე უკეთესი და იაფი

**„ვაზელინის“ საპონი**

კარგი, იაფი, გამძლე და მარგებელი.

**ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ.**
**Гл. складъ:** С.П.Б. Александр. площ. 9
МОСКВА, Никольская, д. Шереметева
ВАРШАВА, Новый Свѣтъ, 87

(9—17845—2—2)

**„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ან-დრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |

# ცხოვრება

**შვიდთა ყრმათა ეფესელთა**

თარგმნილი მ. შარაძის მიერ

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბექანაიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

---

ლოდ შენის თავის წინ, ოთხს კედელს შუა, შეგიძლიან შენს გულში მთელი ქვეყანა გადმუაბრუნო, ეს მთა იმ მთას აჯახო, მაგრამ სხვასთან კი, მეტადრე უფროსთან, როგორ შეიძლება სამართლიანი ლაპარაკი, ეს ხომ უზდელობა, უკანონობა და უზნეობა აქნებაო. ასე ჰფიქრობენ ჩვენი დიასახლის—ბებია-პ.პები. ალბად ასევე ჰფიქრობდნენ მასწავლებლებიც, რომ უსიტყვოდ დანმორჩილნენ თავიანთ უფროსს. ანდრიამაც მალე გაიგო უფროსის ხასიათი, იმის მიმართულება და ყურმოჭრილ ყმასავით დაემორჩილა, ბავშვად მოაჩვენა თავი. უფროსიც შეაჯდა ზურგზედ და თოხარიკივით დააჭენებდა. „ნასწავლია ნასწავლი ანდრე გიორგიჩი, ეტყოდა ხოლმე უფროსი თავისს ცოლს, მაგრამ მე უფრო კარგად ვასწავლი ჭკუასო“. არ ვიცი ამითი რას ამბობდა ისკინკილოვი, მაგრამ ეს კი აშკარაა, რომ ანდრის ხასიათის ცვალებადობას ალღო აუღო ჩვენმა უფროსმა და ანდრიას ხასიათს—ენა ჭარტალობას თავისს სასარგებლოდ ხმარობდა.

V

გავიდა კარგა დრო. ანდრია შეეჩვია თავისს მდგომარეობას. ამხანაგებს დაუახლოვდა, საზოგადოება გაიცნო და მოწაფეებს ხომ თავიც მოაბეზრა, დღეს-ხვალობით ანდრია გაშინაურდა და ზოგიერთს ოჯახს კიდეც დაუმეგობრდა.

იმ სამაზრო ქალაქის საზოგადოება, სადაც ჩვენი ანდრია მოღვაწეობდა, რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი და იმათში, რასაკვირველია პირველი ადგილი „ინტილიგენტებს“ ეჭირათ. ინტილინგენტი-კი, ქართველურად რომ ავხსნათ ყველა წერა-კითხვის მცოდნე კაცი გახლავთ. ცოტათ თუ ბევრად სწავლა განათლების ქურაში გამოწრთობილი და საზოგადოების თვალში განათლებულად აღიარებული. ეს პატივცემული ხალხი ე. ი. ინტილიგენტები, იმიტომ იწოდებიან ინტილიგენტებად, რომ ცოტა თავისუფალი მოაზრენი გახლანან და თუ საჭიროება მოითხოვს, ნამეტანს გულ-კეთილობასაც იჩენენ, აი რომ შეუძლიათ მე და შენ, ჩემო საყვარელო მკითხველო, ხელიც ჩამოგართვან და ეს დიდი მოწყალებაა. რასაკვირველია პატარა სამაზრო ქალაქის ინტილიგენტები მე და შენის ხელის ჩამორთმევას გმირობად არ ჩასთვლიან, მაგრამ მაინც ინტილიგენტები არიან, ქვეყნისთვის გული შესტკივათ და მამულის შვილებად ითვლებიან. მამულს-კი მოგეხსენებათ რიგიანი მოვლა უნდა. და რასაკვირველია, რაც უფრო რიგიანის იარაღით იქმნება კაცი აღჭურვილი, მით უფრო გაუძლევება თავისს მოვალეობასა. აი ამ იარაღს, ჩვენი განათლებულები ევროპიულს განათლებაში ხედავენ და თუ საქმით არა, სიტყვით მაინც ემსახურებიან ამ უებარს წამალს ახალს ხალხის გაღვიძებისას. ანდრიას ნაცნობებიც ახალს აზრებსა ჰქადაგებდნენ, მიმართულებას დაბლაუჭებოდნენ და ვინც ამათ არ ეთანხმებოდა, ის ათვალისწუნებული ჰყავდათ. ანდრი ამ მალე აილო ალღო და მალეც ჩაერია იმათ წრეში. მართალია, ანდრია მეტის-მეტი მხდალი ადამის-შვილი იყო, მაგრამ ამასთანავე საშინელი თავმყვარეც. მუდამ დღე იმასა ჰფიქრობდა, როგორ მოვიქცე, როგორ მოვაწონო თავი საზოგადოებასა, როგორ დავიმსახურო ისეთი ყურადღება, რომ განათლებული, განვითარებული მოვეჩვენო საზოგადოებასაო. ეს ორი მოპირდაპირე წინაამდეგი ხასიათის თვისება მეტის-მეტი მოუთავსებელია, მაგრამ ასეთი ხასიათი ჰქონდა ანდრიას და მისდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, იპოვა კიდეც გზა, რომლის საშუალებითაც მიაღწია თავისს გულის წადილსა. ამის სიმხდალე საზოგადოებას წინდახედულებად მოეჩვენა და თავ-მოყვარეობა უზადო განათლებად. რა იყო ეს გზა? ეს გზა გახლდათ ფლიდობა, ორპირობა. ანდრიას არსება ორად გაიყო. შინ სულ სხვა ანდრია იყო გარეთ-კი სხვა. შინ ვიწრო შეხედულობისა, ბოროტებით აღსავსე, ეგოისტი, გარედ-კი თავისუფალი მოაზრე, განათლებული, მოძმისთვის თავდადებული. მერე ისე ხელოვნურად შეიმუშავა ეს განაწილება თავისის ბუნებისა, რომ საოცარი და საკვირველია. ვერა ქრისტიანი ვერ მოხვდებოდა მის ორ პირობას. ეს მარტო თვით ანდრიამ იცოდა. იცოდა რომ იგი თავისს მსმენელებს ატყუებდა, ჰგრძნობდა რომ სიგლახეს სჩადიოდა მაგრამ... კვლავ ფლიდობდა, კვლავ ორპირობდა..

ხშირად ამოუკრავს ხოლმე ცხვირში ხელი და თავგანწირ ულებით წარმოუთქვამს: რადა, რადა ვარ ესრე უბედური, რადა ვცრუობ, რათა ვსტყუი, იმის წინაამდეგ რად ვლაპარაკობ, რასაც თანაუგრძნობ... არა. ამის შემდეგ აღარ შემიძლია დღეის შემდეგ ისე უნდა გამოვჩნდე, რაცა ვარ დღეის შემდეგ ნიღაბი უნდა ჩამოვიხსნა. განა ჩემის საკუთარის აზრებით რომ გამოვიდე საზიზღარი ვიქმნები? განა ყველა კაცს ნება არა აქვს ის იფიქროს და ილაპარაკოს, რასაც იმის ბუნება მოითხოვს? მაშ მე რადა ვარ ასეთი უბედური, ასეთი დაცემული, და დაქვეითებულიო. გულ-ამოსკვნით იტყოდა ხოლმე ანდრია და თვალებზედ ცრემლები გადმოეკიდებოდა. არა, დრო არის მოუღო ბოლო ჩემს ტანჯვას, ჩემს სინიდისის ქენჯნასაო“. ასე ალაპარაკებდა ბუნებრივი სიპატიოსნე ანდრიასა, ის სიპატიოსნე, რომელიც გარემოებისა და უშნო სწავლა-წვრთნის მეოხებით ანდრიას სულის სიღრმეში ჩაფლულიყო, რომელსაც ათას გვარი ყალბი, არა-ბუნებრივი, ბრჭოსაგან შეთითხნილ-შექნილი ვითომ-და ზნეობრივი კანონები ზედ დასწოლოდნენ. ცოტა კიდევ და ანდრიას სული კვლავ აღფრთოვნდებოდა. სულის სიღრმეში დაფერფლილი ნაკვერჩხალი გაღაღადდებოდა და ანდრიას სულსაც სიმშვიდე მიეცემოდა... მაგრამ... გადიოდა დღეები, ანდრიას ყოველ დღე ისევ ისინი ხვდებოდნენ, ვისაც თავი სხვაგვარად გააცნო და ვეღარ აძრახებდა სხვა ჰანგზედ ლაპარაკსა.

ამ გვარად პატივის მოყვარეობა და შინაგან ხმას, ხმას სინიდისისას, მუდმივი ბრძოლა ჰქონდათ ანდრიას გულში და სიცოცხლეს უმწარებდნენ. მხოლოდ ანდრიას ერთად-ერთი მანუგეშებელი „საზოგადო თანაგრძნობა“ იყო. საზოგადოებამ არ იცოდა ანდრიას სულის კვეთება. იგი მარტო გარეგნობით და საზოგადოდ იმ მოქმედებითა სჯიდა მას, როგორსაც იგი იჩენდა მათ წინ და იგი-კი კარგის, თითქმის სამაგალითო მხრით ეჩვენებოდა. ვინ რა იცოდა და ანდრია-კი ისეთი მოხერხებული კაცი იყო, რომ არამც თუ საზოგადოებას, კერძო კაცსაც-კი არ ჩაახედვებდა თავისს გულის სიღრმეში. იგი დახშული იყო ყველასათვის! ამიტომ საზოგადოება მოსტყუვდა, დროებით მაინც, და ანდრია გაამერთა. ოხ, რა დაუფასებელი კაცია ჩვენი ანდრია! იტყოდნენ ხოლმე ავყიაშვილის ნაცნობები. «ნეტა თუ მართლა ისეთია, როგორიცა სჩანს?» ანგარიშ მიუცემლად იკითხავდნენ ხოლმე და პასუხს თითონვე იძლეოდნენ: მაშ, ყოველი განათლებული კაცი პატიოსანი უნდა იყოს ან-დრიაც ხომ ნასწავლია, ნასწავლი!

ბრბოს თანაგრძნობამ თვით ანდრიაც შეცდომილებაში შეიყვანა, გარყვნა მისი ბუნება და ის ხმა, რომელიც ათასში ერთხელ მაინც ამოსძახებდა ხოლმე გულის სიღრმიდგან, სამუდამოდ ჩაწყდა. ანდრია იქამდისინ მივიდა, რომ თავისს თავი, რამდენიმე ხნის შემდეგ, უცოდველად დასახა. რაღაც უკუღმართობის მეოხებით დარწმუნდა, რომ იგი ღირსეული კაცია და ღირსეულს კვალსაც დასდგომია.

(შემდეგი იქნება)